საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამონაშვილი შალვა ალექსანდრეს ძე

შ. ამონაშვილი

ამონაშვილი შალვა ალექსანდრეს ძე (დ. 8. III. 1931, თბილისი), პედაგოგი, ფსიქოლოგი. რუსეთის განათლების აკად. აკადემიკოსი (1989; ამავე აკად. წ.-კორ. 1985). ფსიქოლ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1980).

დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1955). დაამთავრა ი. გოგებაშვილის სახ. პედ. მეცნ. ინ-ტის ასპირანტურა (1958), 1960-იდან ამავე ინ-ტში მუშაობდა ლაბორანტად, უმცროს მეცნ. თანამშრომლად, სწავლულ მდივნად, ლაბორ. გამგედ, დირექტორის მოადგილედ სამეცნ. ნაწილში, დირექტორად.

1987–90 მუშაობდა ექსპერ. სამეცნ.-საწარმოო პედ. გაერთიანების გენ. დირექტორად. 1964 პროფ. ბ. ხაჭაპურიძესთან და დოც. გ. ფოფხაძესთან ერთად ჩამოაყალიბა ექსპერ. დიდაქტიკის ლაბორატორია, რ-ის გამგეა დღემდე. ხელმძღვანელობდა მასობრივ ექსპერიმენტებს დაწყ. განათლების პრობლემებზე საქართვ. რამდენიმე რ-ნში.

1992 იანვრიდან პედაგოგთა საერთაშ. ასოციაციის პრეზიდენტია. ყოფ. სსრკ რესპუბლიკებში ა. აღიარებული იყო როგორც ერთ-ერთი პედაგოგ-ნოვატორი. ა-ის გამოკვლევები ეძღვნება „თანამშრომლობის პედაგოგიკას“ (მისი ტერმინია), დაწყებითი განათლების ახ. სისტემას, პიროვნულ-ჰუმანური პედაგოგიკის საფუძვლებს.

სსრკ სახ. დეპუტატი, სსრკ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს წევრი (1989–91).

თხზ.: ადამიანი ადამიანის შემოქმედი, თბ., 1987; Созидая человека, М., 1982; Воспитательная и образовательная функция оценки учения школьников, М., 1984; Педагогическая симфония. В 3-х томах, Екатеринбург, 1993; Размышления о гуманной педагогике, М., 1996; Школа жизни. Трактат о начальном образовании, М., 1996.

ა. მაჭარაშვილი